მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №8

ქ. მარტვილი 9 ივნისი, 2023

წელი

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 28, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის განკარგულება №21 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
   /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-

საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ს.კ. 41.09.39.483 მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (5700 ლარი) 25%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
6. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი-გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დაგზავნილ იყო საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში განსახილველად, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები დასვა საკრებულოს წევრმა მიხეილ ნაჭყებიამ, რასაც დეტალურად გასცა პასუხი მომხსენებელმა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25, წინააღმდეგი 2.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება შეფასდეს დადებითად.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 განკარგულება №22 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ს.კ. 41.09.39.483 მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (5700 ლარი) 25%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და საკრებულოს წევრებს განუმართა, რომ საკითხი ეხებოდა ბენზინგასამართი ობიექტის galf-ის მიმდებარედ სარეკლამო ბანერის განსათავსებლად 5 წლიანი იჯარით გაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ს.კ. 41.09.39.483 მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (5700 ლარი) 25%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ს.კ. 41.09.39.483 მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (5700 ლარი) 25%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის განკარგულება №23 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო

საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული მოძრავი ქონება რამოდენიმეჯერ იყო გატანილი აუქციონზე და არ გაიყიდა აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიაჩნიათ აღნიშნული მოძრავი ქონება აუქციონზე გატანილ იქნას თავდაპირველი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 80%-ით შემცირებული ღირებულებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი 14500 ლარი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, თავდაპირველი საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 80%-ის ოდენობით შემცირებაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, 80%-მდე შემცირების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის განკარგულება №24 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ აღნიშნული შეთანხმება მიზნად ისახავს ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი გარემოს დამკვიდრებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს **,,**მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის განკარგულება №25 სხდომის ოქმს თან

ერთვის./

მე-6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის გრიგოლ კიკალიშვილის მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილება და შესაბამისი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26, წინააღმდეგი 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისის დადგენილება №11 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა